



Foreign Policy Council

საგარეო პოლიტიკის საბჭო

სამი ზღვის ინიციატივა - თანამშრომლობის ახალი კონცეფცია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის

გიორგი ფიფია





An independent, non-profit think tank based in Tbilisi, Georgia

ავტორი: გიორგი ფიფია რედაქტორი: გრიგოლ ჯულუხიძე

ტექნიკური რედაქტორი: თამარ პაიჭაძე პროექტის კოორდინატორი: ირაკლი ჭყონია

პუბლიკაცია # 6

© საგარეო პოლიტიკის საბჭო, 2019

ჯანო ბაგრატიონის 6, 0160 თბილისი

(+995) 579760570; (+995) 595172374

foreignpolicycouncil@aol.com

www.foreignpolicycouncil.com

სამი ზღვის ინიციატივა - თანამშრომლობის ახალი კონცეფცია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საგარეო პოლიტიკის საბჭოს.
პუბლიკაციაში გამოთქმული დასკვნები წარმოადგენს ავტორის/ავტორების
მოსაზრებებს და შეიძლება არ ასახავდეს საგარეო პოლიტიკის საბჭოს ხედვებს.

© 2019 საგარეო პოლიტიკის საბჭო

შესავალი

2016 წლის აგვისტოს მიწურულს, ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკში, ოფიციალურად ჩაეყარა საფუძველი თანამშრომლობის ახალ პლატფორმას, რომელიც იწოდება, როგორც „სამი ზღვის ინიციატივა“. ამ ეტაპზე გაერთიანებაში გაწევრიანებულია 12 სახელმწიფო, რომლებიც იმავდროულად ევროკავშირის წევრებიც არიან. ავსტრიის გარდა პოლონეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია - ყოველი მათგანი ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყანაა. პლატფორმის შექმნის იდეა და ინიციატივა პოლონეთიდან წამოვიდა, პოლონეთისა და ხორვატიის პრეზიდენტებმა კი ამ იდეის ხორცმესხმა ითავეს. მეტი ინტეგრაცია, ეკონომიკური განვითარება, სატრანსპორტო და ციფრული კომუნიკაციების გაუმჯობესება, ენერგეტიკა - ეს ის ძირითადი, საკვანძო საკითხებია, რომლებზეც „სამი ზღვის ინიციატივა“ დაფუძნდა. ამ ქვეყნებს აქვთ საერთო წარსული, საერთო ღირებულებები და მიზანი, დაეწიონ დასავლეთ ევროპის განვითარების სტანდარტებს, აღმოფხვრან ის ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ქმნიან ე.წ. ძველსა და ახალ ევროპას შორის არსებულ განსხვავებას. ინიციატივის ქვეყნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა, ენერგორესურსების, კერძოდ, ბუნებრივი აირის, დივერსიფიცირება და რუსულ გაზზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება, რისი საბოლოო შედეგიც გაზპრომისგან ენერგოდაამოუკიდებლობა იქნება. ასევე, მეტი კომუნიკაცია, ბარიერების მოხსნა, ინტეგრაცია და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნების განვითარებასა და ევროპის ერთიან ბაზარში მათი პოზიციების გამყარებას შეუწყობს ხელს. ევროკავშირი, თავის მხრივ, მიესალმება და მხარს უჭერს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის კავშირების უმაღლეს დონეზე გაღრმავებას, რაც, საერთო ჯამში, ევროპული გაერთიანების ინტერესებშიც შედის. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, განიხილოს და გაანალიზოს სამი ზღვის ინიციატივის მნიშვნელობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის.

სამი ზღვის ინიციატივა - წინაპირობები, ხედვები, განვითარების ეტაპები 1

აღმოსავლეთ ევროპა და ნაწილობრივ ცენტრალური ევროპა ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის პირდაპირ სამიზნეს, სივრცეს, სადაც კრემლს ყოველთვის სურდა ფეხი მყარად მოეკიდებინა. ისტორიულად, ბოლო 300 წლის მანძილზე ეს სივრცე ყოველთვის იყო მოწყვლადი რუსეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენების მიმართ. საბჭოთა პერიოდში კი რეგიონი უშუალოდ მოსკოვის დირექტივებით იმართებოდა.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, პოლონეთის მაშინდელ ლიდერს, იოზეფ პისლუდსკის, ჰქონდა იდეა ინტერმარიუმის (Międzymorze) შექმნის შესახებ. იდეის ავტორებს რუსეთისა და გერმანიის იმპერიებს შორის მოქცეული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის დაცვის მექანიზმად სამხედრო ალიანსის შექმნა და საერთო ძალისხმევა ესახებოდათ. საბოლოო ჯამში, პროექტი ვერ განხორციელდა. გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამი ზღვის ინიციატივა თითქმის იმეორებს ინტერმარიუმის საზღვრებს, თუმცა, შინაარსობრივად მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.¹

3SI არ არის გეოპოლიტიკური ან თავდაცვითი ალიანსი, არამედ წარმოადგენს არაოფიციალურ პლატფორმას, კოოპერაციის დამატებით მექანიზმს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეკონომიკა, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო და ციფრული კომუნიკაციები. სამომავლოდ მოხდება თუ არა თანამშრომლობის გადაღვრა სხვა სფეროებში, ამას დრო გვიჩვენებს, გამორიცხული არ არის, სამ ზღვას შორის მდებარე ქვეყნებმა თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროშიც გააღრმავონ თანამშრომლობა.²

თავდაპირველად, როდესაც „სამი ზღვის ინიციატივა“ იქმნებოდა, მისი შეფასება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ცალსახად დადებითი არ ყოფილა. შეიძლება ითქვას,

¹ New Eastern Europe. “Intermarium vs the Three Seas Initiative”. <http://neweasterneurope.eu/2017/07/06/intermarium-vs-the-three-seas-initiative/>

² მარიამ გრიგალაშვილი. „ინტერმარიუმი – საუკუნოვანი პოლონური პროექტის ახალი სიცოცხლე“ (თბილისი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017). <http://gip.ge/ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90/>

რომ მათი ხედვა ამ პლატფორმის მიმართ სკეპტიციზმით იყო გაჯერებული. ვინაიდან, საწყის ეტაპზე ახალი ფორუმის შესახებ ინფორმაცია შედარებით მწირი იყო. დასავლეთ ევროპაში ზუსტად არ იცოდნენ როგორი იქნებოდა ინიციატივის სამომავლო სახე, ასეთ დროს სკეპტიციზმი ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა, დღეს, პლატფორმის შექმნიდან თითქმის სამი წლის თავზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრიუსელი ამ ინიციატივის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. ევროპის დედაქალაქში სამი ზღვის ინიციატივა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დასავლეთ ევროპასთან ინტეგრაციისთვის სასარგებლო ინსტრუმენტად ესახებათ.

დუბროვნიკის სამიტის შემდეგ, 2017 წელს ვარშავაში გამართულ ღონისძიებას დონალდ ტრამპიც დაესწრო, ხოლო 2018 წლის ბუქარესტის სამიტს სტუმრობდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ევროპული კომისიის პრეზიდენტი ჟან კლოდ იუნკერი, რაც ნიშნავს იმას, რომ სამი ზღვის ინიციატივის მნიშვნელობა წლიდან წლამდე იზრდება.

ბუქარესტის სამიტზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმება გაფორმდა, კერძოდ, პოლონეთის ინიციატივით - ხელშეკრულება სამი ზღვის ინიციატივის ფონდის (TSF) დაარსების შესახებ. აღნიშნული ფონდის ამოქმედება 2019 წლიდან დაიწყო და ეტაპობრივად ამჟამად არსებული 5 მილიარდიდან 100 მილიარდამდე საინვესტიციო კაპიტალი უნდა მოიცვას. რაც შეეხება ფინანსების განაწილებას, ფონდის რესურსები სტრატეგიულ ინფრასტრუქტურასა და ენერგეტიკულ პროექტებს მოხმარდება.³

ბუქარესტის სამიტზე საფუძველი ჩაეყარა 3SI ბიზნეს ფორუმსაც, რომლის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკასა და ბიზნესში ჩართული ფინანსური ინსტიტუტების, საერთაშორისო კომპანიების მონაწილეობით განიხილება ერთობლივი საინვესტიციო გეგმები. ბიზნეს ფორუმში მონაწილეობა მიიღეს პოლიტიკურმა ლიდერებმა, არა მხოლოდ ინიციატივის წევრი სახელმწიფოებიდან, არამედ დასავლეთ ბალკანეთიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო). ასევე, უკანასკნელ ბუქარესტის სამიტზე გადაწყდა, რომ დასახული სამომავლო გეგმები შესრულდება ვაშინგტონთან, ბრიუსელთან და ბერლინთან თანამშრომლობით.⁴ მომდევნო სამიტი ამა წლის 4-5 ივნისს ჩატარდება და მას სლოვენია უმასპინძლებს.

³ „Polish Briefing: The Three Seas Fund will finance energy investments“. <http://biznesalert.com/polish-briefing-the-three-seas-fund-will-finance-energy-investments/>

⁴ Fanni Virag, “The Three Seas Initiative: The Way Forward”. (07, 11, 2018).

<https://www.atlanticcouncil.org/blogs/energysource/the-three-seas-initiative-the-way-forward>

ეკონომიკური მნიშვნელობა 2

სამი ზღვის ინიციატივის 12 წევრი სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტი ევროკავშირის მშპ-ის 10%-ს შეადგენს, გარდა ამისა, ევროგაერთიანების მოსახლეობის 22% სწორედ ამ თორმეტ ქვეყანაში ცხოვრობს.⁵ იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივის მონაწილეები გაზრდიან ინტეგრაციის ხარისხს, მათი ეკონომიკური შესაძლებლობებიც პირდაპირპროპორციულად გაიზრდება. ევროპული კავშირის წევრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური სახელმწიფოები შედარებით რთული ინტეგრაციით ხასიათდებიან, ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკურ სექტორს და ბოლო ორი დეკადის განმავლობაში გაწევრიანებულ ქვეყნებს. ევროკავშირის ძველსა და ახალ წევრებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა ეკონომიკური განვითარების კუთხით, კეთილდღეობის განაწილება მართლაც არათანაბარია. თავის მხრივ, ცალკეული ქვეყნების ძალისხმევა ვერ იძლევა სასურველ ეფექტს, ამიტომ ერთიანი მიდგომა შესაძლოა უფრო ეფექტური იყოს. ამ ქვეყნებს, მეტ-ნაკლებად, მსგავსი წარსული აქვთ, ყოველ მათგანს მოუწია კომუნისტურიდან კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, რაც, როგორც წესი, მტკივნეული პროცესია და ყოველთვის დაკავშირებულია ეკონომიკურ პრობლემებთან. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, საერთო მიდგომის შემუშავება, მეტი შეკავშირებულობა, კომუნიკაციების განვითარება, ბარიერების მოხსნა და ერთიანი განვითარების გეგმის შექმნა მთლიანად რეგიონს მისცემს საშუალებას უკეთ მოერგოს ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ ბაზარს და არსებული დისბალანსი შეამციროს. დღესდღეობით წარმატებული ევროკავშირის მოდელიც თავის დროზე ქვანახშირისა და ფოლადის შეთანხმებით წარმოიქმნა, ხოლო როდესაც ყველა წევრმა მიიღო სარგებელი, დროთა განმავლობაში წარმატებული ინტეგრაციის მაგალითად იქცა.⁶

2019 წლის დასაწყისში ვარშავაში გაიმართა ინიციატივის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრა პოლონეთის პრეზიდენტთან. ანჯეი დუდამ შეკრებილებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ ევროკავშირის წევრები, კარგად ვაცნობიერებთ ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ ვითარებას. ავსტრიის გამოკლებით ყველა სახელმწიფო, რომელიც ქმნის სამი ზღვის ინიციატივას „რკინის ფარდის“ მიღმა იმყოფებოდა. ეს არის ის, რის გამოც

⁵ “The Three Seas Initiative Summit: European Commission Investments in Connectivity Projects“, (2). https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/the_three_seas_initiative_summit_en.pdf

⁶ Dainius Genys. “Lithuania’s Expectations from the Three Seas Initiative”. Jamestown Foundation Global Research & Analysis. <https://jamestown.org/program/lithuanias-expectations-from-the-three-seas-initiative/>

წლების განმავლობაში ფერხდებოდა ჩვენი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარება”.⁷ დუდამ ასევე განაცხადა, რომ ერთიან ეკონომიკურ განვითარებასა და ბიზნესის ერთად კეთებას შეუძლია შექმნას ისეთი სივრცე, სადაც იქნება ინფრასტრუქტურული უსაფრთხოება.⁸ ამ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ წარმომადგენლები აშშ-დან, უფრო ადრე ბუქარესტის სამიტს დაეწყო ამერიკის ენერჯეტიკის მდივანი რიკ პერი, ხოლო 2017 წელს, როგორც უკვე აღინიშნა, ვარშავის სამიტს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ეწვია. აშშ მხარს უჭერს ამ ინიციატივას იმ ეკონომიკური ხედვიდან გამომდინარე, რომ ძლიერი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა ამ რეგიონში, პირველ რიგში, რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენებს შეამცირებს ისევე, როგორც ჩინეთის მზარდ ეკონომიკურ გავლენებს ევროპაში.⁹

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია უახლესი ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების დანერგვა. ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი პროექტები უნდა განხორციელდეს. სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნებში უნდა გაუმჯობესდეს ციფრული კომუნიკაციები და მოერგოს თანამედროვე სტანდარტებს.

ენერჯეტიკული და სატრანსპორტო მნიშვნელობა 3

სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნების თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ენერჯეტიკა. უმთავრესი მიზანია, ენერგოდამოუკიდებლობა, რომლის მისაღწევადაც რამდენიმე მიმდინარე და სამომავლო პროექტი არსებობს. ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონის ქვეყნების გაზომომარაგებაში მთავარ როლს რუსეთის ფედერაცია თამაშობს. ინიციატორ ქვეყნებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ბუნებრივი აირის ძირითად მიმწოდებლად რუსეთის ყოფნა რეგიონის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მოსკოვისთვის ენერჯეტიკული ბერკეტი პოლიტიკური მანიპულაციისა და ზეწოლის მექანიზმია, რაც სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნებს ენერგოწყაროს დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს. ალტერნატიული გაზომომარაგების მექანიზმად მოიაზრება LNG¹⁰ სისტემა. უნდა

⁷ „President: Doing business is a way to increase security“. <https://www.president.pl/en/news/art.970.president-doing-business-is-a-way-to-increase-security.html>

⁸ იქვე.

⁹ David. A. Wermer. “The Three Seas Initiative Explained”, (02. 11. 2019). <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/the-three-seas-initiative-explained>

¹⁰ LNG - გათხიერებული ბუნებრივი აირი.

მოხდეს პოლონეთის და ხორვატიის LNG ტერმინალების დაკავშირება, ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის შექმნა და შემდგომ ინტერკონექტორების მეშვეობით დანარჩენი წევრი სახელმწიფოების ბუნებრივი აირით სტაბილური მომარაგება. კერძოდ, პოლონეთის ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ტერმინალი Świnoujście, რომელმაც 2018 წელს უკვე მიიღო პირველი ტანკერი, ენერგეტიკული დერეფნით დაუკავშირდება ადრიატიკის ზღვაში მდებარე ხორვატიის კუნძულ Krk-ს ტერმინალს.¹¹

გარდა ამისა, არსებობს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების რამდენიმე გეგმა. „*ბალტიური ენერგობაზრის ურთიერთდაკავშირების გეგმა*“ - ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, გერმანია, დანია, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი. ეს გეგმა ითვალისწინებს ბალტიისპირა ქვეყნებსა და დანარჩენ ევროპას შორის ინტეგრირებულ ელექტრო და გაზომომარაგების სისტემის შექმნას და ენერგოიზოლაციის საბოლოოდ აღმოფხვრას.¹² აღნიშნული მაკრო პროექტი შედგება რამდენიმე მცირე ინფრასტრუქტურული პროექტისგან. **ესტლინკი, ნორდბალტი და ლიტპოლი**, საერთო ჯამში, მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ბალტიის ქვეყნების ევროპის ენერგობაზარში ინტეგრაციასა და ენერგოუსაფრთხოების გაზრდას. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზემოთ ხსენებული პროექტები ხორციელდება ევროპული კომისიის პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ევროკავშირისთვის სამი ზღვის ინიციატივის მნიშვნელობას.¹³ **BRUA**-ურთიერთდამაკავშირებელი გაზის მაგისტრალი ბულგარეთს, რუმინეთს, უნგრეთსა და ავრსტიას შორის ინტერკონექტორების მეშვეობით ბუნებრივი აირის გამანაწილებელი ქსელების დაკავშირებას უზრუნველყოფს. ამ პროექტის მიზანია, სტაბილურ და უსაფრთხო გაზომომარაგებასთან ერთად, ბუნებრივი აირის ფასების დაბალანსება და კონვერგენცია მოახდინოს. პროექტის დაფინანსებაში 100 მლნ ევრო ევროპის საინვესტიციო ბანკმა ჩადო.¹⁴ ბოლო ბუქარსტის სამიტზე მნიშვნელოვან ენერგეტიკულ პარტნიორობას ჩაეყარა საფუძველი. აშშ-ის ენერგეტიკის მდივანმა რიკ პერიმ ახალი ინიციატივა წამოაყენა: „პარტნიორობა ტრანსატლანტიკური ენერჯის კოოპერაციისთვის (P-TEC)“. პერიმ ასევე დაამატა, რომ მულტინაციონალურ ბიზნეს

¹¹ Fanni Virag, “The Three Seas Initiative's Bucharest Summit: Focusing on Energy” (14, 11 2018).

<https://www.atlanticcouncil.org/blogs/energysource/the-three-seas-initiative-s-bucharest-summit-focusing-on-energy>

¹² „The Three Seas Initiative Summit: European Commission Investments in Connectivity Projects“

(3).https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/the_three_seas_initiative_summit_en.pdf

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

მოთამაშებთან ერთად, თავის მხრივ, ამერიკიდანაც მოხდება ინვესტიციების მოზიდვა ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.¹⁵

სამი ზღვის ინიციატივის ფარგლებში ენერგეტიკულ პროექტებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც რეგიონის ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას შეუწყობს ხელს, ასევე გაზრდის ტვირთბრუნვას. გეოგრაფიულად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა საკმაოდ ვრცელი და იმავდროულად სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სივრცეა. ამ სივრცის მნიშვნელობა მაღალია, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. ინიციატივის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება აგრეთვე მნიშვნელოვანია ევროპული კავშირის ერთიანობისთვის და სტაბილურობისთვის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს **RAIL BALTICA**, რომელიც ყველაზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტია ბოლო 100 წლის განმავლობაში, ბალტიის ქვეყნებში განხორციელებულ პროექტებს შორის. ეს იქნება თანამედროვე მაგისტრალი, რომელიც დააკავშირებს ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვისა და პოლონეთის დედაქალაქებს. იმავდროულად მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურას, დააკავშირებს, როგორც პორტების ტერმინალებს, ასევე აეროპორტებსა და ქვეყნების შიდა-ლოჯისტიკურ ცენტრებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვის ეფექტურობას. ასევე, თანამედროვე სარკინიგზო მაგისტრალი მგზავრობას გახდის ბევრად სწრაფსა და ხელმწისაწვდომს, რაც ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.¹⁶ ზემოთ ხსენებული პროექტის ხარჯების 85% დაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპული ფონდების მიერ.¹⁷

სატრანსპორტო პროექტებს შორის ყველაზე დიდი ფინანსები გაწერილია დუნაის სანაოსნო არხის გაყვანის გეგმაზე, რომელიც დააკავშირებს ავსტრიას, ბულგარეთს, ხორვატიას, სლოვაკეთს, უნგრეთს, რუმინეთს. დუნაის ხაზი ტვირთების ნავიგაციას გაზრდილ მასშტაბებში უზრუნველყოფს და, რაც მთავარია, იქნება ეფექტური, ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალება. აღსანიშნავია, რომ ამ

¹⁵ David. A. Wermer. “The Three Seas Initiative Explained”, (02. 11. 2019). <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/the-three-seas-initiative-explained>

¹⁶ The Three Seas Initiative Summit: European Commission Investments in Connectivity Projects“ (3).https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/the_three_seas_initiative_summit_en.pdf

¹⁷ Rail Baltica, finances. <http://www.railbaltica.org/about-rail-baltica/finances/>

პროექტის განხორციელებისთვის ევროკავშირი სოლიდურ, 19 მილიარდამდე ინვესტიციას ჩადებს.¹⁸

აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვის ტვირთების კორიდორი, კიდევ ერთი საკომუნიკაციო, სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებისა და აღმოსავლეთ ევროპის დასავლეთ ევროპასთან დაკავშირების გეგმაა. სხვა ზემოთ ხსენებულ პროექტებთან ერთად აღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვის სარკინიგზო კორიდორი სამი ზღვის ინიციატივის ქვეყნების შეკავშირებულობის გაზრდის მექანიზმია. სატვირთო დერეფანი დააკავშირებს გერმანიას, ავსტრიას, შვედეთს, ჩეხეთს, უნგრეთს, ბულგარეთს, სლოვაკეთს და საბერძნეთს. ეს იქნება გაუმჯობესებული, უახლეს ტექნოლოგიებზე მორგებული, ეფექტური და სწრაფი სარკინიგზო ქსელი, რომელსაც არ ექნება ბარიერები.¹⁹ Via Carpathia - მნიშვნელოვანი სატრანსპორტო პროექტი, 2025 წელს უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში და წარმოადგენს ტრანსნაციონალურ საავტომობილო მაგისტრალს, რომელიც დაფარავს მანძილს კლაიპედასა (ლიეტუვა) და თესალონიკს (საბერძნეთი) შორის.²⁰

რასაკვირველია, ჩამოთვლილი პროექტების ერთობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სატრანსპორტო კომუნიკაციებს, ასევე საბოლოო ჯამში ევროკავშირის სატრანსპორტო და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

ევროკავშირი და სამი ზღვის ინიციატივა 4

როდესაც განვიხილავთ ევროპის კონტინენტზე შექმნილ ახალ გაერთიანებას, თუნდაც არაოფიციალურს, ისმის ლოგიკური კითხვა - რა საჭიროა დამატებითი კავშირის შექმნა მაშინ, როცა არსებობს ევროკავშირი და თორმეტივე სახელმწიფო ისედაც ევროგაერთიანების წევრია? საწყის ეტაპზე ევროპული კავშირის წამყვანი სახელმწიფოები ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილნი ახალი

¹⁸ The Three Seas Initiative Summit: European Commission Investments in Connectivity Projects“ (4).https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/the_three_seas_initiative_summit_en.pdf

¹⁹ იქვე.

²⁰ Visegrad Post. “The Three Seas Initiative, a new forum of cooperation of twelve Central European countries countervailing the Berlin-Brussels-Paris Axis?”. <https://visegradpost.com/en/2018/07/13/three-seas-initiative-berlin-paris-brussels/>

აღმოსავლეთევროპული იდეის მიმართ, თუმცა, მას შემდეგ, რაც არაერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ სამი ზღვის ინიციატივა იქნება ევროპული ინტეგრაციის ხელშემწყობი პლატფორმა, სკეპტიციზმი შეიცვალა თანამშრომლობით.²¹ პოლონეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ნათლად ჩამოაყალიბა ინიციატივის იდეა: „სამი ზღვის ინიციატივა არის ახალი კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპის ერთიანობას, ეს არის თანამშრომლობის იდეა იმ 12 ქვეყანას შორის, რომლებიც ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვებს შორის მდებარეობენ“.²² ვინაიდან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ჰქონდათ საერთო წარსული და იდგნენ მსგავსი პრობლემების წინაშე, საუკეთესო გამოსავალად მიჩნეულ იქნა საერთო დაბრკოლებებზე ერთობლივად მუშაობა. საჭირო იყო, პირველ რიგში, ეკონომიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პრობლემების აღმოფხვრა და განვითარებისა და ინტეგრაციის ერთიან მოდელზე მუშაობა, რაც შემდგომ ამ სახელმწიფოების ევროპულ გაერთიანებაში ეტაპობრივად, სრულ ინტეგრაციას უზრუნველყოფს.²³ ბუქარესტის სამიტზე დადასტურდა, რომ ევროპული კომისია მხარს დაუჭერს სამი ზღვის ინიციატივის პროექტების განხორციელებას, როგორც პოლიტიკურად, ასევე ტექნიკურად და ფინანსურად.²⁴ ფაქტია, რომ ევროკავშირი ლობირებას გაუწევს სამი ზღვის ინიციატივას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ამ პლატფორმის შექმნა დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისთვისაც სარგებლის მომტანია იმ მხრივ, რომ ძლიერი აღმოსავლეთ ევროპა ნიშნავს ნაკლებად მოწყვლად ევროპულ კავშირს და ნაკლებ ეკონომიკურ პრობლემებს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პლატფორმის დაარსებიდან არასრული სამი წლის თავზე ბერლინი და ბრიუსელი მზადყოფნას გამოთქვამენ ამ ამბიციური კონცეფციის განვითარებაში წვლილი შეიტანონ. როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰეიკო მასმა ბუქარესტის სამიტზე განაცხადა, ბერლინი მზად არის ამ პლატფორმას

²¹ David. A. Wermer. “The Three Seas Initiative Explained”, (02. 11. 2019). <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/the-three-seas-initiative-explained>

²² President of the republic of Poland, “Minister Szczerki: Three Seas initiative to boost European unity”. <https://www.prezydent.pl/en/news/art.425.minister-szczerki-three-seas-initiative-to-boost-european-unity--.html>

²³ Stephen Blank. “European Integration Moves Forward: The Three Seas Initiative”, Foreign Policy Research Institute. <https://www.fpri.org/article/2018/09/european-integration-moves-forward-the-three-seas-initiative/>

²⁴ Fanni Virag, “The Three Seas Initiative: The Way Forward”. (07, 11, 2018). <https://www.atlanticcouncil.org/blogs/energysource/the-three-seas-initiative-the-way-forward>

მხარში ამოუდგეს, რათა სამი ზღვის ინიციატივა გახდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის დამაკავშირებელი ხიდი.²⁵

დასკვნა

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ „სამი ზღვის ინიციატივა“ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას. ამასთანავე, გააუმჯობესებს რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, მოხსნის ბარიერებს, ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. ეს კომპონენტები კი ერთიან ევროპულ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის სასიცოცხლო ელემენტებია. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ნიშნავს იმას, რომ კრემლი კარგავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე ენერგეტიკულ, ეკონომიკურ და შესაბამისად პოლიტიკურ გავლენას. როგორც ჩანს, რუსული მარწუხებიდან გაქცევის ყველაზე ეფექტური გზა ერთიანი ინტეგრაციული მიდგომა აღმოჩნდა.

ზემოთ ხსენებული ვარაუდების გარდა, სამი ზღვის ინიციატივა გაზრდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ წონას ევროპულ კავშირში და არა მხოლოდ. თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტემპებს, „სამი ზღვის ინიციატივის“ ეკონომიკური პოტენციალი მართლაც რომ თვალშისაცემია. არ არის გამორიცხული, სამომავლოდ თანამშრობლობის გაღრმავება მოხდეს სხვა სფეროებშიც. ამ ეტაპზე კი მხოლოდ ის ვიცით, რომ „სამი ზღვის ინიციატივა“ საკმაოდ ამბიციური, სამომავლო განვითარებაზე გათვლილი პროექტია.

²⁵ James Shotter. “Three Seas seeks to turn tide on east-west divide”. <https://www.ft.com/content/2e328cba-c8be-11e8-86e6-19f5b7134d1c>

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრიგალაშვილი, მარიამ. „ინტერმარიუმი – საუკუნოვანი პოლონური პროექტის ახალი სივრცეზე“ (თბილისი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017).
<http://gip.ge/ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90/> (27. 03. 2019).
2. Biznesalert. „Polish Briefing: The Three Seas Fund will finance energy investments“. <http://biznesalert.com/polish-briefing-the-three-seas-fund-will-finance-energy-investments/> (02. 04. 2019)
3. Blank, Stephen. “European Integration Moves Forward: The Three Seas Initiative”, Foreign Policy Research Institute. <https://www.fpri.org/article/2018/09/european-integration-moves-forward-the-three-seas-initiative/> (13. 04. 2019).
4. European commission. “The Three Seas Initiative Summit: European Commission Investments in Connectivity Projects“, (2). <https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/the-three-seas-initiative-summit-en.pdf> (02. 04. 2019).
5. Genys, Dainius. “Lithuania’s Expectations From the Three Seas Initiative”. (Jamestown Foundation Global Research & Analysis). <https://jamestown.org/program/lithuanias-expectations-from-the-three-seas-initiative/> (10. 04. 2019).
6. New Eastern Europe. “Intermarium vs the Three Seas Initiative“. <http://neweasterneurope.eu/2017/07/06/intermarium-vs-the-three-seas-initiative/> (25. 03. 2019).
7. President of the Republic of Poland. “Minister Szczerski: Three Seas initiative to boost European unity“. <https://www.prezydent.pl/en/news/art,425,minister-szczerski-three-seas-initiative-to-boost-european-unity--.html> (10. 04. 2019).
8. President of the Republic of Poland. President: Doing business is a way to increase security“. <https://www.president.pl/en/news/art,970,president-doing-business-is-a-way-to-increase-security.html> (10. 04. 2019).
9. Rail Baltica Official Website. Rail Baltica, finances. <http://www.railbaltica.org/about-rail-baltica/finances/> (10. 04. 2018)
10. Shotter, James. “Three Seas seeks to turn tide on east-west divide“. <https://www.ft.com/content/2e328cba-c8be-11e8-86e6-19f5b7134d1c> (13. 04. 2019).
11. Virag, Fanni. “The Three Seas Initiative: The Way Forward“. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/energysource/the-three-seas-initiative-the-way-forward>

(02. 04. 2019).

12. Virag, Fanni. “*The Three Seas Initiative's Bucharest Summit: Focusing on Energy*” (14, 11 2018).
<https://www.atlanticcouncil.org/blogs/energysource/the-three-seas-initiative-s-bucharest-summit-focusing-on-energy> (02. 04. 2019).

13. Visegrad Post. “*The Three Seas Initiative, a new forum of cooperation of twelve Central European countries countervailing the Berlin-Brussels-Paris Axis?*”
<https://visegradpost.com/en/2018/07/13/three-seas-initiative-berlin-paris-brussels/> (10. 04 .2019).

14. Wermer, A. David. “*The Three Seas Initiative Explained*”.
<https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/the-three-seas-initiative-explained> (10. 04. 2019).